

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ-ჰუმიდურ ზონაში აგროეკოსისტემის (ფეიხოა) გეოგრაფიული გავრცელება და მისი სამკურნალო თვისებები

თამარ ალექსიძე

ელ.ფოსტა: tamar.aleksidze@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ნაშრომში მოცემულია აგროეკოსისტემის (ფეიხოა) გავრცელების ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებანი და მისი სამკურნალო თვისებები.

ფეიხოა (*Feijoa sellowiana*) სამხრეთ ამერიკული წარმოშობის კულტურაა და სახელს ატარებს პირველადმოძრენის ბრაზილიის ბუნების ისტორიის მუზეუმის დირექტორის ჟუან და სილვა ფეიხოს პატივსაცემად. დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან ფეიხოს გავრცელებისა და მყარი მოსავლიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებით ხელსაყრელი აგროკლიმატური მახასიათებლებით (ატჯ, ჰტკ, ტემპერატურული რეჟიმი, ატმოსფერული ნალექები, ედაფური ფაქტორი და სხვ.) აჭარა-გურია გამოირჩევა. აღნიშნული კულტურის საცდელი ნაკვეთები ბათუმის ბოტანიკური ბაღის, გურიის (ანასეული) და სამეგრელოს ტერიტორიებია. სხვა სუბტროპიკული კულტურებისაგან განსხვავებით ფეიხოა შედარებით უფრო ყინვაგამძლეა -10° -12° ტემპერატურაზე არ იყინება, იგი შესაძლებელია გაშენდეს 5° - 10° 10° - 15° და 15° - 20° -იან დახრილობის ფერდობებზე. ფეიხოს მაღალმოსავლიანობისათვის საუკეთესოა ქვიშნარი-ალუვიური ნიადაგები, ასევე წითელმიწა და სუბტროპიკულ-ეწერი ნიადაგები.

ფეიხოა იძლევა ნაყოფს, რომელიც გამოირჩევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, რაც უკავშირდება ფოტოსინთეზის პროცესის აქტივობას. ნაყოფი მუქი მწვანეა, რბილია, მარწყვისა და ანანასის არომატი აქვს, მდიდარია იოდით (100 გრ-ში 8-35მგ იოდი) რითაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის იოდის შევსების მიზნით, მისი მომჟავო ტკბილი ნაყოფი გამოიყენება ნედლეულად და გადამუშავების შემთხვევაში კომპოტის, მურაბის და ღვინის საწარმოებლად. აღნიშნული თვისებების დადგენა მოხდა აგრობიოლოგიური მეთოდების გამოყენებით.